საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი გოგინაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**17**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**
წერის უნარი	**19**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**12**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**90**	**100**

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ პროცედურაში
მონაწილე კანდიდატის - **გიორგი გოგინაშვილის** შეფასების დასაბუთება

29.04. 2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის N¼ განკარგულებით დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის - **გიორგი გოგინაშვილის** შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კეთილსინდისიერების კრიტერიუმით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	ამ კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის - გიორგი გოგინაშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული მისი, როგორც მოსამართლის და მოქალაქის

მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	კეთილსინდისიერება, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, თავმდაბლობა, სამართლიანობა, პრინციპულობა და სხვა თვისებები. კანდიდატი სამსახურებრივ და სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. გიორგი გოგინაშვილი გამოირჩევა პრინციპულობით, პოლიტიკური და სხვა ნიშნით მიუკერძოებლობით, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმა კანდიდატს გადახდილი აქვს დროულად. რეკომენდატორები და კანდიდატთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები მის პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას აფასებენ დადებითად და მიაჩნიათ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. გიორგი გოგინაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ აქვს, არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. მოძიებული ინფორმაციით, გიორგი გოგინაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა ან/და სისხლის სამართლის წარმოება არ დაწყებულა, ასევე დაზარალებულად ან სამართლებრივ დავაში მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა. გიორგი გოგინაშვილი არასდროს ყოფილა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერი, წევრი ან შემომწირველი. მას ასევე არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ. ზემოაღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ გიორგი გოგინაშვილი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი, სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წესით.**

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	კომენტარი
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე, აგრეთვე - გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სისწორე, საჯარო მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ გიორგი გოგინაშვილი კარგად იცნობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. საჯარო მოსმენისას ასევე გამოავლინა საერთაშორისო სამართლის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების სათანადო ცოდნა. კანდიდატი კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. საჯარო მოსმენისას კანდიდატმა უპასუხა ზოგადი და სამართლებრივი ხასიათის შეკითხვებს საკმაოდ ვრცლად და არგუმენტირებულად, მსჯელობისას მოიყვანა კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული, თუმცა, ადმინისტრაციული წესით დასჯად წვრილმან ხულიგნობასა და ხულიგნობას, როგორც დანაშაულს, შორის მიჯნის გავლებისას მან არ მიუთითა მთავარ განმასხვავებელ ნიშანზე - ძალადობაზე ან ძალადობის მუქარაზე;

			გიორგი გოგინაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. ამდენად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კანდიდატ გიორგი გოგინაშვილს გააჩნია სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების კარგი ცოდნა, ასევე მან სათანადოდ იცის ეროვნული კანონმდებლობა სამოქალაქო კუთხით, ეცნობა სასამართლო პრაქტიკას და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**	ამ მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება, აგრეთვე სამოსამართლო გამოცდილების კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა. მიმაჩნია, რომ გიორგი გოგინაშვილის მიერ წამოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტები (გადაწყვეტილებები) არის გამართული და დასაბუთებული. ჩანს, რომ მას შეუძლია არგუმენტირებული მსჯელობა. გადაწყვეტილებები დასაბუთებულია, მათ შორის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე მითითებით. საჯარო მოსმენისას გიორგი გოგინაშვილმა ასევე დამაჯერებლად და არგუმენტირებულად განავითარა მსჯელობა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. შესაბამისად, ორივე ამ კომპონენტის, აგრეთვე კანდიდატის პროფესიული გამოცდილების მხედველობაში მიღებით, მიმაჩნია, რომ მას გააჩნია სამართლებრივი დასაბუთების კარგი უნარები და კომპეტენცია.
წერის უნარი	**19**	**20**	ამ მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება

			წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. გიორგი გოგინაშვილს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 18 წლიანი გამოცდილება. ამასთან, კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნებისა და აზრის დამაჯერებლად გადმოცემის უნარი. შეუძლია სამართლის სხვადასხვა სფეროში აქტუალურ საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობა. წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებით ჩანს, რომ კანდიდატი წერილობით მკაფიოდ და თანმიმდევრობით გადმოსცემს აზრს და მისი მსჯელობა არის ლოგიკური და დასაბუთებული.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**12**	**15**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა (უნარი) და საჯარო მოსმენისას მიღებული სხვა შთაბეჭდილება. კანდიდატის შეფასებისას, სხვა ინფორმაციასთან ერთად, ძირითადად მხედველობაში მივიღე საჯარო მოსმენისას მისი გამოსვლა და მიმაჩნია, რომ გიორგი გოგინაშვილი ლოგიკურად მეტყველებს, მისი გამოსვლა იყო დამაჯერებელი. მასვე გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისება. საჯარო მოსმენაზე კანდიდატმა ამომწურავად ისაუბრა საკუთარ შეხედულებებზე სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის მიერ სწრაფი მეტყველების მანერის გამო ზოგიერთ შემთხვევაში რთული იყო მისი საუბრის აღქმა-გაგება.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა	**15**	**15**	აღნიშნული მახასიათებლით სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქ-

სასამართლო დარბაზში			ტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა და სხვა უნარები. რეკომენდატორები და სხვა რესპოდენტები უთითებენ, რომ გიორგი გოგინაშვილი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, კვალიფიციურობით, პრინციპულობით და გააჩნია გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. 2021 წლის თებერვლიდან 2024 წლის თებერვლამდე პერიოდში (შეფასების ბოლო სამი წელი), კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 100%. რაც შეეხება უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტულ მაჩვენებელს, საქმეების გასაჩივრების თაობაზე ინფორმაცია არ მოიპოვება, ვინაიდან გიორგი გოგინაშვილი გამწესებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში და მისი გადაწყვეტილებები არ საჩივრდება. მოძიებული ინფორმაციით, კანდიდატის მიმართ დისციპლინური წარმოება დაწყებული არ არის.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**	აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვ. გიორგი გოგინაშვილი ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალი-

			ფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. გამოქვეყნებული აქვს სამართლებრივი სტატია. კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი. ახალი ცოდნის შემენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი მონაწილეობს სხვადასხვა ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში.
პროფესიული აქტივობა	4	5	აღნიშნული მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის მიმართ შეფასებისას აგრეთვე გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა. გიორგი გოგინაშვილი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში, რაც ადასტურებს, რომ ის მზად არის, მიიღოს მისთვის აუცილებელი ცოდნა და საჭირო ინფორმაცია
ქულათა ჯამი	**90**	**100**	

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება
კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი გიორგი გოგინაშვილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, პიროვნული და პროფესიული ქცევა, პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ფინანსური ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით გიორგი გოგინაშვილის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მის შესახებ გამოთხოვილ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან“ - სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. გიორგი გოგინაშვილის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისაგან მიღებულ იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები და კითხვარები. ამასთან, გიორგი გოგინაშვილის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას უშუალოდ კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები და მახასიათებლები.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით <u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u> მახასიათებლის თაობაზე შეიძლება ითქვას, რომ გიორგი გოგინაშვილს გამოკითხული პირები და რეკომენდატორები აფასებენ როგორც კეთილსინდისიერ, კომპეტენტურ, პუნქტუალურ, პრინციპულ პიროვნებას. ამასთან, აღნიშნავენ, რომ იგი გამოირჩევა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, მიზანდასახულობით, საქმისადმი ერთგულებით, რესპოდენტები არ მიუთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე. გიორგი გოგინაშვილს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. ეს ყველაფერი კი ცხადყოფს, რომ კანდიდატს სრულად აქვს შეგნებული როგორც პირადი, ისე პროფესიული მოვალეობები.

რაც შეეხება <u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს,</u> გიორგი გოგინაშვილს გამოკითხული პირები და რეკომენდატორები აფასებენ როგორც სამართლიან და პრინციპულ პიროვნებას, რომელიც სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილი თვისებების გათვალისწინებით, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ გიორგი გოგინაშვილი არის პიროვნულად მყარი, ზეგავლენის მიმართ მედეგი მოსამართლე და გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. რაც შეეხება კანდიდატის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, იგი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი გოგინაშვილი იცავს ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ არის თავდაჭერილი და თავაზიანი. ამასთან, მოძიებული ინფორმაციით, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა, სისხლისსამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა და იგი სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ ან/და დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა.

<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლებთან</u> მიმართებაში კანდიდატის პიროვნულ თვისებებსა და პროფესილ მიღწევებს რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გიორგი გოგინაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება ინფორმაცია მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. გიორგი გოგინაშვილი აქტიურად მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში.

<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან</u> დაკავშირებით, შესაძლებელია ითქვას, რომ გიორგი გოგინაშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება და მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობა.

მითითებული მახასიათებლების გათვალისწინებით, ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება
კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე გიორგი გოგინაშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი, კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია, წერის უნარი, ზეპირი კომუნიკაციის უნარი, პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში, აკადემიური მიღწევები, პროფესიული წვრთნა და პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ საერთო შთაბეჭდილებას.

<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის</u> კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი გოგინაშვილს გააჩნია სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონების კარგი ცოდნა, აგრეთვე სათანადოდ იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ეცნობა სასამართლო პრაქტიკისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. კერძოდ, 2024 წლის 29 მარტს გიორგი გოგინაშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა, რა დროსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი სამართლებრივი შეკითხვა, მათ შორის: სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ, აუცილებელ მოგერიებასა და უკიდურეს აუცილებლობას შორის განმასხვავებელ ნიშნებზე, წვრილმან ხულიგნობასა და სისხლისსამართლებრივად დასჯად ხულიგნობას შორის განსხვავებაზე, საგამოძიებო მოქმედებათა კანონიერების თაობაზე განჩინებების გასაჩივრების თავისებურებებზე, აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, სამართლებრივი სახელმწიფოს არსის შესახებ, საერთშორისო სამართლის კუთხით - სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების შესახებ, სამართლიანი სასამართლოს უფლების და ამ უფლების შემადგენელი ელემენტების თაობაზე; სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევის პრაქტიკის შესახებ, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებათა სამართლებრივი მნიშვნელობის თაობაზე და სხვ. ყველა ამ შეკითხვიდან გამომდინარე კანდიდატის მსჯელობა იყო საკმაოდ მოცულობითი და დასაბუთებული.

კანდიდატი საჯარო მოსმენისას იყო კორექტული და თავაზიანი. მან შეძლო ყველა დასმულ კითხვაზე სრული და ამომწურავი პასუხის გაცემა, არსებითად სწორად და არგუმენტირებულად განავითარა მსჯელობა როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული სამართლებრივი საკითხების ირგვლივ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული წესით დასჯად წვრილმან ხულიგნობასა და ხულიგნობას, როგორც დანაშაულს, შორის მიჯნის გავლებისას მან არ მიუთითა მთავარ განმასხვავებელ ნიშანზე - ძალადობაზე ან ძალადობის მუქარაზე;

კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

<u>კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან</u> დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 18 წლის გამოცდილება. ამჟამად ის თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეა. გიორგი გოგინაშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ მას გააჩნია არგუმენ-ტირებული და თანმიმდევრული წერის სათანადო უნარი. ამასთან, კანდიდატი კარგად იყენებს და აანალიზებს სამართ-ლებრივ ნორმებს, ახერხებს სამართლებრივი საკითხების სწორად აღქმას და მსჯელობის თანმიმდევრულად, ნათლად გადმცემას. მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვ-ლენილა.

<u>ზეპირი კომუნიკაციის უნართან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი გოგინაშვილი აზრს გადმოსცემს გასაგებად და მეტყველებს ლოგიკურად. საჯარო მოსმენაზე მისი გამოსვლა იყო დამაჯერებელი. ამასთანავე, მას გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისება. საჯარო მოსმენაზე კანდიდატმა ამომწურავად ისაუბრა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე, თუმცა კანდიდატის სწრაფი მეტყველების მანერის გამო ზოგიერთ შემთხვევაში რთული იყო მისი საუბრის გაგება.

<u>პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის შესახებ</u> მოძიებული ინფორმაციის და კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, გიორგი გოგინაშვილი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით და გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. კანდიდატს აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარები. წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციით, 2021 წლის თებერვლიდან 2024 წლის თებერვლამდე პერიოდში ყველა საქმე კანდიდატს განხილული აქვს საპროცესო ვადების დაცვით. საანგარიშო პერიოდში კანდიდატს დასრულებული აქვს დღეში საშუალოდ 0,3 საქმე.

<u>კანდიდატის აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული აქტივობის</u> შესახებ შეიძლება ითქვას, რომ გიორგი გოგინაშვილი არის ღია სიახლეების მიმართ და აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. გიორგი გოგინაშვილი აქტიურად მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. ასევე აღსანიშნავია, რომ იგი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას და აქვს გამოქვეყნებული სამართლებრივი ხასიათის სტატია.

შ ე ჯ ა მ ე ბ ა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **გიორგი გოგინაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს,** ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კდადგინდა, რომ მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს **90** ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

29.04.2024